

## „კრისტიან-ჟაკის „ფან-ფან ტიტა“ – 70 წლისა!“

საკვანძო სიტყვები: კრისტიან-ჟაკი, ფანფან-ტიტა, შანსონი, ოპერეტა, პიესა, რომანი, ანრი ფანსონი, კრისტიან მატრა, ჟერარ ფილიპი, ჯინა ლოლობრიჯიდა, 1952 წელი.

კრისტიან-ჟაკი (1904-1994) ფრანგული კინემატოგრაფის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. რეჟისორის კინემატოგრაფიული მემკვიდრეობა მოიცავს 64 მხატვრულ ფილმს და 7 სატელევიზიო პროექტს. მისი უკანასკნელი ნამუშევარი კინოში არის დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი მარსელ კარნეს შემოქმედებაზე („Carné, l'homme à la caméra“, 1985 – „კარნე, ადამიანი კამერით“). 1985 წელს კრისტიან-ჟაკს კანის ფესტივალზე მიენიჭა საპატიო „სენარი“ შემოქმედებისთვის. (დაჯილდოების ვიდეო იხილეთ ლინკზე: <https://vimeo.com/79180698>).

საფრანგეთის სამხატვრო აკადემიის ორი ახალგაზრდა სტუდენტი, ორი მეგობარი – კრისტიან მოდე და ჟაკ შაბრეზონი –



1922 წელს იწყებენ თავიანთ კარიერას როგორც კინოფილმების აფიშების ესკიზების მხატვრები. ერთი ესკიზებს ხატავს, მეორე აფერადებს. ორივეს გვარი არ ეტეოდა პლაკატის ფურცელზე, ამიტომ მათ მოიფიქრეს ფსევდონიმი, რომელიც მათ ორივე სახელს გააერთიანებდა – ოდნავ შეცვალეს ორთოგრაფია და ასე შეიქმნა სახელი – კრისტიან-ჟაკი. ამასთან მეგობრებმა დათქვეს, რომ თუკი ერთ-ერთი მათგანი წარმატებას მიაღწევდა და ცნობილი გახდებოდა, მაშინ ეს სახელიც მას დარჩებოდა, მეორე კი ნაწილობრივ მაინც გაიზიარებდა მას (ეს წინადადება ჟაკ შაბრეზონს ეკუთვნოდა, რომელიც ცნობილი არქიტექტორი გახდა). და მოხდა ისე, როგორც მოხდა – კრისტიან მოდე გახდა კრისტიან-ჟაკი, ის კრისტიან-ჟაკი,<sup>1</sup>

რომელმაც ფრანგული კინემატოგრაფის ისტორიაში უდიდესი კვალი დატოვა, და ასევე მსოფლიოს მრავალი თაობის აღზრდაში და მათ ესთეტიურ და სულიერ განვითარებაში განუზომელი წვლილი შეიტანა. კრისტიან-ჟაკი – იყო კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა სამშობლო და კინო.

კრისტიან-ჟაკის კინემატოგრაფის თავისებურებანი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მისი როგორც რეჟისორის ხელწერა მუდამ სხვადასხვაგვარი იყო ჟანრული და სემანტიკური თვალსაზრისით – მას ხელეწიფებოდა როგორც კომე-

<sup>1</sup> Брагинский, А. В.. Кристиан Жак. Москва, Искусство, 1981. 239 стр.

დია, ასევე ფსიქოლოგიური დეტექტივი, დრამა, ელევგიური კინონოველა, ბურ-ლესეული ისტორიული ფილმები, ასევე ბიოგრაფიული ჟანრის ფილმები (მაგ. „ფანტასტიკური სიმფონია“ ჰექტორ ბერლიოზის ცნობრებაზე ჟან-ლიუ ბაროს მონაწილეობით).<sup>2</sup>

გთავაზობთ ჩემ მიერ შედგენილ კრისტიან-ჟაკის სრულ ფილმოგრაფიას ფრანგულ და ქართულ ენებზე:

1. 1933 Le bidon d'or – ოქროს დოქი
2. 1932 Adhémar Lampiot – ადემარ ლამპიო
3. 1933 Ça colle – საქმე მოგვარდა
4. 1934 Le tendron d'Achille – აქილევსის ქუსლი
5. 1934 Compartiment de dames seules – ქალების განყოფილება
6. 1934 Le père Lampion – მამა ლამპიო
7. 1935 Voyage d'agrément – შეთანხმებული მგზავრობა
8. 1935 La famille Pont-Biquet – პონ-ბიკეტების ოჯახი
9. 1935 Sacré Léonce – წმინდა ლეონსი
10. 1935 Sous la griffe – კლანჭებში
11. 1935 La sonnette d'alarme – განგაშის სონეტი
12. 1936 L'école des journalistes – ჟურნალისტების სკოლა
13. 1936 Un de la légion – ლეგიონიდან ერთ-ერთი
14. 1936 Rigolboche – რიგოლობოში
15. 1936 Monsieur Personne – ბატონი პერსონა
16. 1937 À Venise, une nuit – ერთი ღამე ვენეციაში
17. 1937 Josette – ჟოსეტა
18. 1937 La maison d'en face – სახლის ფასადი
19. 1937 François 1<sup>er</sup> – ფრანსუა პირველი
20. 1937 Les dégourdis de la 11<sup>ème</sup> – მეთერთმეტე უბნის ბიჭები
21. 1938 Les pirates du rail – პირატები რელსებზე
22. 1938 Les disparus de Saint-Agil – გაუჩინარებულები სენტ-აჟილიდან
23. 1938 Ernest le rebelle – მეამბოხე ერნესტი
24. 1939 Raphaël le tatoué – ტატუირებული რაფაელი
25. 1940 Le grand élan – დიდი ენთუზიაზმი
26. 1941 L'enfer des anges – ანგელოზების ჯოჯოხეთი
27. 1941 Premier bal – პირველი მეჯლისი
28. 1941 L'Assassinat du père Noël – თოვლის ბაბუას მკვლელობა
29. 1942 La symphonie fantastique – ფანტასტიკური სიმფონია
30. 1943 Voyage sans espoir – უიმედო მოგზაურობა

<sup>2</sup> Seifert, Hans-Ulrich: Berlioz 1942. La Symphonie fantastique von Christian-Jaque. In: Transgressions – Überschreitungen : mélanges en l'honneur de Hermann Hofer. Hrsg. von Wanda Klee [u. a.], Marburg : Tectum-Verlag, 2011, S. 272–314.

31. 1945 Carmen – კარმენი
32. 1945 Boule-de-Suif – ფუნთუშა
33. 1945 Sortilèges – ჯადოქრობა
34. 1946 Un revenant – მოჩვენებანი
35. 1948 La chartreuse de Parme – პარმის სავანე
36. 1948 D’homme à hommes – ადამიანი ხალხისთვის
37. 1949 Singoalla – სინგოალა
38. 1950 Souvenirs perdus – დაკარგული მოგონებები
39. 1951 Barbe-Bleue – ლურჯწვერა
40. 1952 Fanfan La Tulipe – ფანფან-ტიტა
41. 1952 Adorables créatures – მომხიბლავი არსებები
42. 1953 Lucrece Borgia – ლუკრეცია ბორჯა
43. 1954 Lysistrata – ლისისტრატა (ეპიზოდი ფილმში „ბედისწერა“)
44. 1954 Madame du Barry – მადამ დიუ ბარი
45. 1955 Nana – ნანა
46. 1956 Si tous les gars du monde – თუკი მსოფლიოს ყველა ყმაწვილი
47. 1957 Nathalie – ნატალი
48. 1958 La loi c’est la loi – კანონი კანონია
49. 1959 Babette s’en va-t-en guerre – ბაბეტა მიდის ომში
50. 1960 La divorce (Segment de La Française et l’amour) –  
განქორწინება (ნოველა ფილმში „ფრანგი ქალი და სიყვარული“)
51. 1962 Madame Sans-Gêne – მადამ სან-ჟენი
52. 1953 Les bonnes causes – ძლიერი მტკიცებულებები
53. 1964 La tulipe noire – შავი ტიტა
54. 1964 Le repas des fauves – მხეცთა ნადიმი
55. 1965 Le gentleman de Cocody – ჯენტლმენი კოკოდიდან
56. 1965 Guerre secrète (The Dirty Game) – ბინძური თამაში
57. 1966 La seconde vérité – მეორე სიმართლე
58. 1966 Le Saint prend l’affût – წმინდანმა კვალს მიაგნო
59. 1967 Deux billets pour Mexico – ორი ბილეთი მენსკომში
60. 1968 Les amours de Lady Hamilton – ლედი ჰამილტონის საყვარლები
61. 1969 S.O.S. fréquence 17 Série TV – სისშირე S.O.S. (17 სერია ტვ.)
62. 1971 Omer Pacha Série TV – ომერ ფაშა (სატელევიზიო სერიალი)
63. 1971 Les pétroleuses – მენავთობე ქალები
64. 1972 Les évasions célèbres – ცნობილი გაქცევები ტყვეობიდან
65. 1973 Arpad le tzigane Série TV – ბოშა არპადი (ტელესერიალი)
66. 1974 À vous de jouer Milord Série TV – მილორდ, თქვენ  
გადაწყვიტეთ (ტელესერიალი)
67. 1975 Jo Gaillard Série TV – ჯო გაიარი (ტელესერიალი)

68. 1975 Docteur Justice – დოქტორი სამართალი
69. 1977 La vie parisienne – პარიზული ცხოვრება
70. 1980 Opération trafics – ოპერაცია „ხალხით ვაჭრობა“
71. 1981 Société Amoureuse à Responsabilité Limitée – შეზღუდული პასუხისმგებლობის სიყვარულის საზოგადოება
72. 1983 L’homme de Suez TV mini-series – კაცი სუეციდან (მინი ტელესერიალი)
73. 1985 Carné, l’homme à la caméra – კარნე – კაცი კამერით

კრისტიან-ჟაკის შემოქმედებაში პირველი 26 ფილმი წარმოადგენს ერთგვარ ექსერსიზებს, რომლებშიც რეჟისორი თავის ხელწერას და თავის გუნდს ეძებს.<sup>3</sup> თამამად შეიძლება ითქვას, რომ კრისტიან-ჟაკის უნიკალური ხელწერა, მისი სტილი, მისი განუმეორებელი იუმორი, მისი არაჩვეულებრივი ალლო კამერასთან და მსახიობებთან მუშაობისა იწყება 1941 წელს – მისი 27-ე ოპუსით „თოვლის ბაბუას მეგლელობა“ – „L’Assassinat du père Noël“.

ამ რეჟისორის შემოქმედების მთავარი თავისებურება არის ბურლესკის, ექსცენტრიკის და რეალობის ორგანული შერწყმა, რაც ძალზე დიდ იმპიათობას წარმოადგენს. ცალკე აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ფილმებზე, სადაც კრისტიან-ჟაკი ლიტერატურული ტექსტების ადაპტატორად გვევლინება – „კარმენი“- „Carmen“, 1945 წ. პროსპერ მერიმეს ნოველის მიხედვით, 1945 Boule-de-Suif – „ფუნთუშა“ ვი დე მოპასანის ნოველების მიხედვით, „პარმის სავანე“ – „La chartreuse de Parme“, 1948 წ. სტენდალის რომანის მიხედვით, „ფანფან-ტიტა“ – „Fanfan La Tulipe“, 1952 წ. ხალხური სიმღერის, ბენჟამენ რომშორის და პიერ-ჟილ ვებერის ნაწარმოებების მიხედვით, „ნანა“ – „Nana“, 1955წ. ემილ ზოლას რომანის მიხედვით, „შავი ტიტა“ – „La tulipe noire“, 1964 წ. ალექსანდრე დიუმას რომანის მიხედვით (თავისუფალი ადაპტაცია) და სხვა.

ფილმზე „ლურჯწვერა“ მუშაობის დროს კრისტიან-ჟაკმა აღმოაჩინა ახალი კინემატოგრაფიული ხერხი – მან განზრახ შემოიტანა დისპროპორცია სიუჟეტსა და გამომსახველობით ფორმებს შორის. ეს თითქოს თავისთავად გამოვიდა, მოგვიანებით კი რეჟისორი მიხვდა, როგორ გამოეყენებინა ეს ხერხი – „ფანფან-ტიტა“ ამის საუკეთესო დადასტურებაა.

ამ ფილმში ყველაფერი არის აწონილ-დაწონილი, რეჟისურა დახვეწილია და ოსტატურად კომპონირებული. კრისტიან-ჟაკი აქ იმდენად დამაჯერებელი და ფუნდირებულია, რომ მას დეკორაციების მეშვეობით შეეძლო წაეკითხა ლექცია საფრანგეთის ისტორიაში.<sup>4</sup> მაგრამ მან ყოველი დეტალი თავის ირონიულ ფანტაზიაში გაატარა და თავისი პერსონაჟები თითქოს მხიარული ვალსის ტემპ-

<sup>3</sup> Брагинский А. В. Актеры французского кино. М.: ВБПК, 1986.

<sup>4</sup> Leprohon, Pierre. Présences Contemporaines Cinéma. Paris, 1957.

Лепроон, Пьер. Pierre Перевод с французского Л. М. Завьяловой, М. К. Левиной и Б. Л. Перлина. Издательство иностранной литературы. Москва, 1960.



ში ააცეკვავა. ამიტომაცაა, რომ მისი ისტორია შამპანურივით ცქრილაა და არა ხელოვნური შუშუნა. რეჟისორი არც კი ცდილობს პაროდირებას, პირიქით, სერიოზულია. ამავე დროს ის თითქოს არალოგიკური და ანომალიურია. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მსჯელობდნენ მისი სცენარისტები – ცნობილი ტრიუმფირატი – რენე ველერი, რენე ფალე და ანრი ჟანსონი – „ჩვენ ფანფანისგან – ხალხური კუბლეტების გმირისგან შევექმნით ისტორიულ პერსონაჟს. ეს ჩინებული გამოვა – ფანფანი არავინაა, მაგრამ ის შევა საფრანგეთის ისტორიაში, რომელსაც ჩვენ დავაკორექტირებთ“. ასეც მოხდა. ჟანსონმა თქვა: „მე სამხედროებს მივხედავ!“ და მართლაც ანრი ჟანსონმა გინიოლის თეატრის ხერხებით

სასწაულებრივად წარმატებულად გაართვა ამ ამოცანას თავი. ალბათ იმავე ანრი ჟანსონმა მოიფიქრა, რომ მეფის მსახური ლებელი, რომელსაც მეფისთვის ლამაზი ახალგაზრდა ქალების მოგვრა ევალებოდა, გამოაწყო მღვდლის სამოსში. ეს იუმორი წმინდა ფრანგულ ბურლესკად გადაიქცა (ეს ის ბურლესკია, რომელშიც ერთიანდება ინტრიგის ყველა ხაზი, მაშინ როდესაც ადრე ბურლესკი სწორედ ინტრიგის ურთიერთმკავშირებელ ძაფებს ერთმანეთისგან ამორებდა). სხვაგვარად როგორ აღვიქვათ ის კომიკური ფორმა, როდესაც სტრატეგები გაკვირვებულები რჩებიან, როდესაც მათკენ ზურგით შეტრიალებულ მტერს დაინახავენ?!<sup>5</sup>

კრისტიან-ჟაკმა თავის სცენარისტებთან ერთად შეიმუშავა განუმეორებელი კინონარატივის ტექნიკა, რომელიც ოქსიმორონებითაა<sup>6</sup> გაჯერებული: გავისხენოთ ციტატები ფილმიდან:

– ირონია ყოველთვის უნდა იყოს მიმართული ზემოდან ქვემოთ, და არა ქვემოდან ზემოთ!

– გინდათ იცხოვროთ უდარდელად და მოკვდეთ სინანულის გარეშე? მაშინ ჩაეწერეთ ჩვენს პოლკში! განთქმულ უძლეველ აკვიტანულ პოლკში!

– ქალები ამბობენ სიმართლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტყუილი თქვან.

– სამეფო სამხედრო საბჭო სასახლეში: მარშალი დესტრე გაშლილ რუკასთან უჩვენებს ჯარის ნაწილების დისლოკაციას.

<sup>5</sup> Arlaux, R.-M. Dans Journal „Combat“, 1952, 22/23 mars.

„თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ მივალწევთ უპირატესობას ბრძოლაში იმით, რომ მცირერიცხოვანი ჯარი გვეყოლება. რაც უფრო ნაკლები ჯარისკაცი გვეყოლება, მტერი მათ მეტი ალბათობით ვერ შეამჩნევს. ამიტომ მე გადავწყვიტე, რომ ბრძოლა აქ უნდა შედგეს.

მეფე: აქ? და მტერმა რა გადაწყვიტა?

მარშალი: მტერი თანახმაა.

მეფე: სად განლაგებთ მარჯვენა ფლანგს?

მარშალი: მარცხნივ.

მეფე: მარცხნივ! კარგი აზრია! მარცხენას კი ალბათ მარჯვნივ?

მარშალი: არა, სირ, მარჯვენა ფლანგი იქნება ცენტრში.

მეფე: ცენტრი კი მარჯვნივ?

მარშალი: ჩვენთვის მთავარია, რომ შევძლოთ მტრის დეზორიენტაცია. ჩვენი ვარაუდით დანაკარგმა უნდა შეადგინოს დაახლოვებით 10 000, მათ შორის უნდა იყოს მარშალი დე საქსი, თუკი ის მოისურვებს ამ ფასად დაამარცხებინოს თავი მტერს.

მეფე: ბატონო მარშალო, მე არ ვვაჭრობ, როდესაც საქმე გამარჯვებას ენება!

– „მხოლოდ მაშინ ხვდები სიცოცხლის მშვენიერებას, როცა სიგვიდის გადაურჩები!“



– და მაშინ მოწინააღმდეგე მხარის მარშალმა ბრძანა: „გახსენით ცეცხლი და ჩარაზეთ ფანჯრები!“

– ჩვენმა მტერმა გვილაღატა, მან ზურგი შეგვაქცია!

– ფინალში მეფე ამბობს: „ომი იმდენად მნიშვნელოვანი საქმეა, რომ მომავალში მას სამხედროებს აღარ მიანდობენ!“

ეს ფინალის ოქსიმორონია. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ფილმის დასაწყისი – მისი ექსპოზიცია. აქ კრისტინან-ჟაკმა შემოიყვანა ისტორიკოსის ხმა (რომელსაც ორიგინალში კომედი ფრანზესის ცნობილი მსახიობი ჟან დებიუკური – Jean Debucourt – კითხულობს). ეს შესავალი წარმოადგენს ქვემარტად მხატვრულ ტექსტს, რომელიც განაპირობებს მთელი ფილმის ტონალობას. ვთავაზობთ მის ჩემუელ თარგანს:

„იყო ოდესღაც მშვენიერი ქვეყანა, რომელსაც საფრანგეთი ერქვა. ვნებავთ შეხედოთ მას ღურბინდში? აი ისიც, XVIII საუკუნის საფრანგეთი! იმხანად ცხოვრება საამური იყო: ქალები იყვნენ ქარაფშუტები, მამაკაცები კი მისდედნენ

თავიანთ უსაყვარლეს საქმიანობას – ომს! ომი იყო მეფეთა ერთადერთი გასართობი, რომელშიც ხალხსაც უწევდა მონაწილეობის მიღება. საბრძოლო ველი წარმოადგენდა იმ ადგილს, რომელზეც მეფენი შთამომავლობისათვის ისტორიულ ფრაზებს წარმოთქვამდნენ, რათა მომავალში სკოლის მოსწავლეებს დასასწავლი მასალა ჰქონოდათ. აი, მაგალითად: „გვარდია იღუპება, მაგრამ მტერს არ ნებდება!“ დიან, ეს ლუდოვიკო XV-ა, თქვენ ის, რაღა თქმა უნდა, იცანით ამ გულადი სიტყვებით. მართალია, ლუდოვიკო XV ხანდახან თავის ქედს კარგავდა, მაგრამ არასოდეს კარგავდა წონასწორობას.

ყვაილი ტურებში, ღიმილი ბაგეზე, სიყვარული გულში! ეს იყო ომი მაქმანებში. ხანდახან ომით თამაში მეფეებს იმდენად გაიტაცებდა ხოლმე, რომ ის რამდენიმე წელსაც ვრძელდებოდა, ზოგჯერ 7 წელიწადს. 7 წლის შემდგომ კი, როდესაც დაითვალეს დაღუპულთა რაოდენობა, დარწმუნდნენ რა, რომ გარდაცვლილთა რიცხვი ბევრად აღემატებოდა ცოცხლად დარჩენილთა რიცხვს, გადაწყვიტეს ჯარის რიცხოვნობის შესავსებად საფრანგეთის ყველა კუთხეში გაგზავნათ რეკრუტების შემკრებები.“

ამავე ხერხს მიმართავს კრისტიან-ჟაკი მოგვიანებით 1964 წელს „შავი ტიტას“ გადაღებისას. აქაც საგულისხმოა შესავალში ისტორიკოსის ნარატივი, რომელიც ძალზე ორიგინალურ ტექსტს წარმოადგენს:

„La Tulipe Noire“ – „შავი ტიტა“

„დიან, საფრანგეთის რევოლუციამ ქვეყანას მრავალი გმირი შესძინა. ისტორიკოსებმა, რომლებმაც ესოდენ ბრწყინვალედ და დიდებულად გვიამბეს მათ შესახებ, მაინც მოახერხეს უდიდესი გამჭრიახობითა და გულმოდგინებით გამოემსუერებინათ და ასპარეზზე გამოეყვანათ აქამდე სრულიად უცნობი ადამიანები. ეს ადამიანები თითქოს არაფრით იყვნენ გამორჩეულები და მათი არსებობის შესახებ ჩვენ ვერც ვერაფერს შევიტყობდით, რომ არა ისტორიკოსები. მაგრამ მონდა ერთი უცნაური ამბავი – მათ სრულიად დაავიწყდათ ერთი შესანიშნავი ადამიანის არსებობა, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვანი და, ვიტყვოდი, გადამწყვეტი როლი შეასრულა ერის წინაშე. ისტორიკოსები მას უბრალოდ უგულვებელყოფდნენ, და მაღავდნენ მის არსებობას შთამომავლობისგან. თვით განთქმული მიშლეც კი არაფერს წერს მის შესახებ. ნეტავ, განზრახ ხომ არ დაივიწყეს? მაგრამ საბედნიეროდ არსებობს კინო! კინო – თავისი კამერით, რომელიც დროის საზღვრებს ღახავს და სიღრმეში იყურება, კამერა თავისი ობიექტივით საუკუნეების სიბნელეში აღწევს. კინოს მეშვეობით თქვენ ბოლოს და ბოლოს იხილავთ ამ საოცარ უცნობს! სამართლიანობა გამიარჯვებს და მას ჯეროვანი პატივი მიეგება! აი, ისიც! შავი ტიტა და მისი მამაცი ცხენი ვოლტერი!“

კრისტიან-ჟაკმა „ფანფან-ტიტას“ გადასაღებად მოიწიდა არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ძალები:

სცენარისტები: რენე ვილერი, რენე ფალე, ანრი ჟანსონი, ადაპტატორი - კრისტიან-ჟაკი. (René Wheeler, René Fallet, Christian-Jacque, Henri Jeanson);

ოპერატორი – კრისტიან მატრა (Christian Matras); კომპოზიტორები – მორის ტირიე და ჟორჟ ვან პარისი (Maurice Thiriet, Georges Van Parys), მსახიობები: ჟერარ ფილიპი – ფანფანი, ჯინა ლოლობრიჯიდა – ადელინა ლა ფრაშინი, მარსელ ერანი – ლუდოვიკო XV, ოლივიე იუსენო – ტრანშ-მონტანი, ნოელ როკვერი – ფიერაბრა, ანრი როლანი – მარშალი დესტრე, ნერიო ბერნარდი – ლა ფრანშინი, ჟან-მარკ ტენბერგი – ლეპელი, ჟენევიევა პაჟი – მადამ პომპადური, ლუსიენ კალამანი – მარშალი ბრანდენბურგი ect.



„ფანფან-ტიტა“ არის XVIII საუკუნის ხალხური, შესაბამისად ანონიმური შანსონი, რომელიც ჩაწერა და გააფორმა შანსონიემ და გოგეტიერმა ემილ დებრომ 1819 წელს. XVIII საუკუნეში ეს სიმღერა, უფრო სწორად ბალადა, მოიხსენიებოდა როგორც გრენადერების მარში. ამ შანსონის პერსონაჟი ფანფან-ტიტა გახდა შემდგომ მრავალი თეატრალური დადგმის, პიესის, ოპერეტის, რომანისა და ფილმის გმირი. პოლ მერისმა<sup>7</sup> 1859 წელს დაწერა პიესა, ედმონ ლეპელეტიემ – ოპერეტა 1896 წელს, 1882 წელს ლუი ვარნემ და ჯიულ პრეველმა<sup>8</sup> შექმნეს ასევე ოპერეტა, პიერ-ჟილ ვებერმა<sup>9</sup> 1925 წელს რომანი, 1979 წელს ბენ-ჟამენ როშფორმა რომანები – „ფანფან-ტიტა“ და „ფანფანი და დიუ ბარი“.

რაც შეეხება კინოდაბტაცციებს – დღესდღეობით სამი კინოდაბტაცციაა:

1. რენე ლეპრინსის 1925 წელს გადაღებული ფილმი პიერ-ჟილ ვებერის რომანის მიხედვით.
2. კრისტიან-ჟაკის „ფანფან-ტიტა“ 1952 წელი.

<sup>7</sup> Meurice, Paul. Fanfan la Tulipe, 1858.

<sup>8</sup> Prével, Jules (1835 - 1889) est un journaliste et librettiste français, courriériste théâtral du Figaro. Il a inventé la profession de critique théâtral en créant la rubrique du «courrier des théâtres», qui a pris une importance capitale dans tous les journaux parisiens<sup>1</sup>. Fanfan la Tulipe, opéra-comique en 3 actes et 4 tableaux, avec Paul Ferrier, musique de Louis Varney, Folies-Dramatiques, 21 octobre 1882, Paris, Tresse, 1882, in-18, 13.

<sup>9</sup> Veber, Pierre-Gilles. Fanfan-La-Tulipe, premier cavalier de France, éditions Jules Tallandier, 1926.



3. ამ კინოდაბტაცის 2003 წლის რიმიევი, რეჟისორი – ჟერარ კრაფივი. რენე ლეზრინსის ფილმი საკმაოდ სუსტი გამოდგა და არ შემორჩა ეკრანებს. 2003 წლის რიმიევი სუსტი მცდელობაა გაცოცხლებინა კრისტიან-ჟაკის კინო-შედეგრი.

როდესაც კრისტიან-ჟაკმა თავის სცენარისტებთან ერთად გადაწყვიტა უცნობი ფანფანი გადაექცია ისტორიულ პერსონაჟად, მან კომპოზიტორებსაც სთხოვა ბალადის და გრენადირების მარშის მელოდია, უფრო სწორად, მისი რეფრენი (Refrain – En avant, Fanfan la Tulipe, Oui, mill' noms d'un' pipe, En avant! – მისამღერი:

წინ გასწი, ფანფან ტიტა, დიან, ათასი საყვირი გაიძახის შენს სახელს! წინ!) ლაიტთემად გადაექციათ. ასეც მოხდა. ამიტომაც გამოვიდა კრისტიან-ჟაკის ფილმი განუმეორებელი და ყოველმხრივ ორიგინალური. პატრიოტიზმი, ვაჟკაცობა, გულადობა, სიყვარული, მეგობრობა, ომი და მშვიდობა – ეს ის თემებია, რომლებითაც ნაკვებია ამ ფილმის ყოველი კადრი. ხოლო ირონია, გროტესკი, ბურლესკი, ოქსიმორონი ის ჟანრული შეფერილობებია, რომლებიც მას განუმეორებელ სილამაზეს სძენს.

სტატიის დასასრულს გთავაზობთ ამ XVIII საუკუნის ხალხური ბალადის ორიგინალურ ვერსიას ორ ენაზე (ქართული ტექსტი ქვეყნდება პირველად. თარგმნილია ნინო ქავთარაძის და მანანა ზაიჭაძის მიერ).

I  
Comme l'mari d'notre mère  
Doit toujours s'app'ler papa,  
Je vous dirai que mon père  
Un certain jour me happa,  
Puis me m'nant jusqu'au bas de la rampe  
M'dit ces mots qui m'mirent tout sens d'ssus d'ssous:  
J'te dirai, ma foi,  
Qui gnia plus pour toi  
Rien chez nous,  
V'là cinq sous,  
Et décampe.

Refrain  
En avant,  
Fanfan la Tulipe,  
Oui, mill' noms d'un' pipe,  
En avant !

## II

Puisqu'il est d'fait qu'un jeune homme,  
Quand il a cinq sous vaillant,  
Peut aller d'Paris à Rome,  
Je partis en sautillant.  
L'premier jour j'trottai comme un ange  
Mais l'lend'main je mourais quasi d'faim.  
Un r'cruteur passa  
Qui me proposa,  
Pas d'orgueil,  
J'm'en bats l'œil,  
Faut que j'mange

## III

Quand j'entendis la mitraille,  
Comm' je r'grettais mes foyers!  
Mais quand j'vis à la bataille  
Marcher nos vieux grenadiers;  
Un instant nous somm's toujours ensemble,  
Ventrebleu ! me dis-je alors tout bas:  
Allons, mon enfant,  
Mon petit Fanfan,  
Vite au pas,  
Qu'on n'dis' pas  
Que tu trembles

## IV

En vrai soldat de la garde,  
Quand les feux étaient cessés,  
Sans r'garder à la cocarde,  
J'tendais la main aux blessés;  
D'insulter des hommes vivant encore  
Quand j'voyais des lâches se faire un jeu,  
Quoi! Mille ventrebleu!  
Devant moi, morbleu!  
J'souffrirais  
Qu'un Français  
S'déshonore!

## V

Vingt ans soldat, vaill' que vaille,  
Quoiqu'au d'voir toujours soumis,  
Un' fois hors du champ d'bataille  
J'n'ai jamais connu d'enn'mis.  
Des vaincus la touchante prière  
M'fit toujours voler à leur secours;  
P'têt' c'que j'fais pour eux,  
Les malheureux  
L'f'ront un jour  
A leur tour  
Pour ma mère

## VI

A plus d'un' gentill' friponne  
Maintes fois j'ai fais la cour,  
Mais toujours à la dragonne,  
C'est vraiment l'chemin l'plus court.  
Et j'disais quand un'fille un peu fière  
Sur l'honneur se mettait à dada:  
N'treblons pas pour ça,  
Ces vertus-là  
Tôt ou tard  
Finiss'nt par  
S'laisser faire.

## VII

Mon père, dans l'infortune,  
M'app'la pour le protéger;  
Si j'avais eu d'la rancune,  
Quel moment pour me venger!  
Mais un franc et loyal militaire  
D'ses parents doit toujours être l'appui:  
Si j'n'avais eu qu'lui  
Je s'rais aujourd'hui  
Mort de faim;  
Mais enfin  
C'est mon père.

## VIII

Maintenant je me repose  
Sous le chaume hospitalier  
Et j'y cultive la rose,  
Sans négliger le laurier,  
D' mon armur' je détache la rouille.  
Si le Roi m'app'lait dans les combats,  
De nos jeun's soldats  
Guidant les pas,  
J'm'écrierais:  
J'suis français!  
Qui touch' mouille.

## I

ისევე როგორც დედის ქმარს  
ყოველთვის მამა უნდა ერქვას,  
გეტყვიო, რომ მამაჩემმა  
ერთხელ ჩამავლო ხელი,  
გამწკეპლა და სახლიდან გამაგდო,  
მითხრა სიტყვები, რომლებმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა:  
„დამიჯერე, რასაც გეტყვი:  
შენზე ხარჯი გაგწიე.  
ახლა ჩვენგან არაფერი გერგება.  
აი, ხუთი სუ. გამომართვი  
და წადი აქედან!“

მისამღერი:

წინ ვასწი,  
ფანფან ტიტა,  
დიან, ათასი საყვირი  
გაიძახის შენს სახელს!  
წინ!

## II

მე, ახალგაზრდა მამაკაცს  
ხუთი სუ გამიჩნდა, რომ  
პარიზიდან რომში წავსულიყავი,  
ჰოდა მეც გავეშურე.  
პირველ დღეს სანიმუშოდ ვიქცეოდი,  
მეორე დღეს კი შიმშილით ვკვდებოდი.

უცებ ჩამიარა ერთმა რეკრუტმა,  
ჯარში წასვლა შემომთავაზა.  
მეც დავთანხმდი.  
რამე ხომ უნდა მეჭამა.

### III

ქვემეხების გრუხუნი რომ გავიგონე,  
გამახსენდა ჩემი კერა!  
მაგრამ როდესაც ბრძოლისას ვნახე  
ჩვენი გამობრძმედილი ჯარისკაცები,  
მათ გვერდით დავდექი!  
დალახვროს ეშმაკმა! ჩემთვის ჩუმად ჩავილაპარაკე:  
წინ, ჩემო ბიჭო,  
ჩემო პატარა ფანფან,  
გასწი,  
რომ არ თქვან,  
მშიშარა ხარო.

### IV

როგორც ნამდვილმა ჯარისკაცმა,  
როდესაც სროლა შეწყდა,  
უმცროს-უფროსობას არ ვარჩევდი,  
დაჭრილებს ვშველოდი,  
ხომ არ მივაგდებდი ჯერ კიდევ ცოცხლებს!  
ვბრახობდი, როდესაც ვუყურებდი იმ ლაჩრებს, ვისაც თავი ვაჟკაცად  
მოჰქონდა!  
დალახვროს ეშმაკმა!  
ჩემს თვალწინ, დალახვროს ეშმაკმა!  
ვერ ავიტან ფრანგის  
უღირს საქციელს!

### V

ოცი წელია ჯარისკაცი ვარ!  
მონდა, როგორც მონდა!  
ბრძანებას ყოველთვის ვემორჩილებოდი  
არც ერთხელ, ბრძოლის ველის გარდა,  
მტერი არ მყოლია!  
დამარცხებულთა ვედრება  
მათ საშველად მიხმობდა.  
უბედურები,

ხომ შეიძლება  
მათაც იგივე გაეკეთებინათ  
დედაჩემისთვის!

## VI

არაერთხელ მინახავს კეკლუცი გოგონა,  
ბევრჯერ მიცდია მისი შეცდენა,  
მაგრამ ყველაზე მოკლე გზა ჯარისკაცისაა!  
ეს მართლაც ყველაზე მოკლე გზაა  
და ვამბობდი, როდესაც ამაყი გოგონა  
გართობას და ალერსს იუკადრისებდა:  
ნუ გემინია,  
ეს სისპეტაკე  
ადრე თუ გვიან  
დამნებდება!

## VII

მამას რომ გაუჭირდა,  
საშველად მომიხმო.  
ბოლმა რომ მახრჩობდეს,  
სამაგიეროსაც გადაგუხდიდი!  
მაგრამ გულწრფელი და ღირსეული სამხედრო  
მშობლებზე უნდა ზრუნავდეს!  
მე რომ მამასავით უპოვარი გყოფილიყავი,  
შემშილით მოგკვდებოდი.  
მაგრამ რა გაეწყობა,  
მამაჩემია.

## VIII

ახლა ვისვენებ  
სამხედრო ჰოსპიტალში.  
და იქ ვარდებს ვაშენებ.  
არც დაფნის გვირგვინზე ვამბობ უარს!  
ჩემს იარაღს ჟანგს ვაცლივებ.  
და თუკი მეფე ბროლისკენ მომიხმობს,  
ახალგაზრდა ჯარისკაცებს  
ფენს აგუწყობ  
და შევყვინებ:  
ფრანგი ვარ!  
აბა, რომელი შემედრებით!

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Seifert, Hans-Ulrich: Berlioz 1942. La Symphonie fantastique von Christian-Jaque. In: Transgressions – Überschreitungen: mélanges en l'honneur de Hermann Hofer. Hrsg. von Wanda Klee [u. a.], Marburg: Tectum-Verlag, 2011, S. 272-314.
2. Брагинский А. В. Актеры французского кино. М.: ВБПК, 1986.
3. Брагинский, А. В. Кристиан-Жак. Москва, Искусство, 1981. 239 стр.
4. Veber, Pierre-Gilles. Fanfan-La-Tulipe, premier cavalier de France, éditions Jules Tallandier, 1926.
5. Meurice, Paul. Fanfan la Tulipe, 1858.
6. Prével, Jules (1835-1889) est un journaliste et librettiste français, courriériste théâtral du Figaro. Il a inventé la profession de critique théâtral en créant la rubrique du „courrier des théâtres“, qui a pris une importance capitale dans tous les journaux parisiens.<sup>1</sup> Fanfan la Tulipe, opéra-comique en 3 actes et 4 tableaux, avec Paul Ferrier, musique de Louis Varney, Folies-Dramatiques, 21 octobre 1882, Paris, Tresse, 1882, in-18, 13.
7. Лепроон, Пьер. Pierre Перевод с французского Л. М. Завьяловой, М. К. Левиной и Б. Л. Перлина. Издательство иностранной литературы. Москва, 1960.
8. Leprohon, Pierre. Présences Contemporaines Cinéma. Paris, 1957.
9. Arlaux, R.-M. Dans Journal «Combat», 1952, 22/23 mars.

**„FANFAN LA TULIPE“, “ BY CHRISTIAN-JACQUE  
CELEBRATES ITS 70TH ANNIVERSARY**

Key-Words: *Christian-Jacque*, „*Fanfan La Tulipe*“, *chancon*, *novel*, *play*, *Henri Jeanson*, *Christian Matras*, *Gérard Philipe*, *Gina Lollobrigida*, 1952.

Summary

Christian-Jacque (1904-1994) occupies a special place in the history of French cinema. His filmography includes 64 feature films and 7 television projects. His last film was a documentary on Marcel Carné – “Carné, l’homme à la caméra” (1985). In 1985, he was honoured with the Cesar d’Honneur for his entire body of work. Christian-Jacque’s first 26 films represent a kind of finger exercises, with the director searching for his own signature and his team of actors and cameramen. It is probably safe to say that Christian-Jacque’s unique signature, his style, his incomparable humour, his special way of handling the camera and the actors begins with his 27th film – with “L’Assassinat du père Noël”, shot in 1941.

In this article, essential moments from Christian-Jacque’s life are presented. However, it also provides an in-depth analysis of the semantics and genre affiliation of his films, as well as their classification.

The most important characteristic of this director’s work is the organic fusion of burlesque, eccentricity and reality, which is a great rarity. Special emphasis is placed on films made after literary models, such as – “Carmen”, 1945, after Prosper Merime, “La Chartreuse de Parme”, 1948, after Stendal, “Nana”, 1955, after the novel by Emile Zola, “La Tupile Noire”, 1964, free adaptation after the novel by Alexandre Dumas (père), among others.

The film “Fanfan la Tulipe” is analysed in detail. “Fanfan la Tulipe”, 1952, is an adaptation of the 18th century folk song written and adapted by Émile Debrauxin 1819, also based on the novel by Pierre-Gilles Veber. The special feature of Christian-Jacque’s cinematography is also that the director mastered different genres in equal measure – comedy, psychological thriller, drama, elegiac novella, burlesque historical films, but also biographical films – the so-called biopics (“La Symphonie fantastique” about the life of Hector Berlioz with the great actor Jean-Louis Barrault, among others).

While working on “Bluebeard”, Christian-Jacques discovered a new form of cinematic solutions by introducing the opposition between the subject and the



means of expression. In reality, it happened spontaneously, but later Christian-Jacque learned to deal with it, and “Fanfan La Tulipe” is the best proof of that. Everything here is well thought out, everything is perfectly worked out. Christian-Jacques is so thorough that he could have given a lecture on French history with a magnificent set. And at the end, after filtering these settings through the prism of his ironic imagination, he has his heroes dance to the rhythm of a waltz. This is what makes his story froth like the delicious champagne. He does not even try to spin a parody. On the contrary, he strives to be very serious. It is easy to imagine the thinking of the three scriptwriters: “We make a historical figure out of the name of the hero of the Chancon. Fanfan is wonderful, Fanfan is nobody. Fanfan will go down in French history, revised and corrected by us”. And – that’s what happened! And Christian-Jacque does it like a guignol theatre, so breathtaking! And so this humour becomes a pure French burlesque. Christian-Jacque had a masterful team: scriptwriters – René Wheeler, René Fallet, Christian-Jacque, Henri Jeanson; cinematographer – Christian Matras; composers – Maurice Thiriet and Georges Van Parys; the actors: Gérard Philipe – Fanfan La Tulipe; Gina Lollobrigida – Adeline La Franchise, Marcel Herrand – Louis XV, Olivier Hussenot – Tranche-Montagne, Noël Roquevert – Fier-à-Bras, Henri Rollan – Le maréchal d’Estrées (de la Comédie Française), Nerio Bernardi – La Franchise, Jean-Marc Tennberg – Monsieur Lebel, Geneviève Page – La Marquise de Pompadour, Lucien Callamand – Le Maréchal de Brandenburg, the voice of the historian has been taken over by the actor of the Comedie Francaise Jean Debucourt.

In the appendix of the article, the literary source of the film is cited bilingually – French and in the Georgian translation by the author of the article.

**„FANFAN LA TULIPE“ VON CHRISTIAN-JACQUE  
FEIERT SEIN 70. JUBILÄUM**

Zusammenfassung

Christian-Jacque (1904-1994) nimmt in der Geschichte des französischen Films einen besonderen Platz ein. Seine Filmographie umfasst 64 Spielfilme und 7 Fernsehprojekte. Sein letzter Film war ein Doku-Streifen über Marcel Carné – „Carné, l’homme à la caméra“ (1985). 1985 wurde er für sein gesamtes Schaffen mit dem Cesar d’Honneur geehrt. Die ersten 26 Filme von Christian-Jacque stellen eine Art Fingerübungen dar, wobei der Regisseur nach seiner eigenen Handschrift und seinem Team von Schauspielern und Kameraleuten sucht. Man darf wohl mit Sicherheit behaupten, dass die einmalige Handschrift von Christian-Jacque, sein Stil, sein unvergleichlicher Humor, seine besondere Art des Umgangs mit der Kamera und den Schauspielern mit seinem 27. Film beginnt – mit dem 1941 gedrehten „L’Assassinat du père Noël“.

Im vorliegenden Artikel werden wesentliche Momente aus dem Lebenslauf von Christian-Jacque dargelegt. Es wird aber auch eine tiefgreifende Analyse der Semantik und der Genre-Zugehörigkeit seiner Filme, sowie deren Klassifikation geliefert.

Die wichtigste Besonderheit des Schaffens von diesem Regisseur bilden die organische Verschmelzung von Burlesque, Exzentrik und Realität, was eine große Seltenheit darstellt. Besondere Akzente liegen auf den Filmen, die nach den literarischen Vorlagen gedreht wurden, so z. B. – „Carmen“, 1945, nach Prosper Merime, „La Chartreuse de Parme“, 1948, nach Stendal, „Nana“, 1955, nach dem Roman von Emile Zola, „La Tulpile Noire“, 1964, freie Adaptation nach dem Roman von Alexandre Dumas (père), u. a.

Der Film „Fanfan la Tulipe“ wird detailliert analysiert. „Fanfan la Tulipe“, 1952, ist eine Adaptation des Volkslieds aus dem 18. Jh., das von Émile Debraux 1819 aufgeschrieben und bearbeitet wurde, ebenso nach dem Roman von Pierre-Gilles Veber. Die Besonderheit der Filmkunst von Christian-Jacque besteht auch darin, dass der Regisseur unterschiedliche Genres im gleichen Maße meistervoll beherrschte – Komödie, psychologischer Krimi, Drama, elegische Novelle, burleske historische Filme, aber auch biografische Filme – die sogenannten Biopics („La Symphonie fantastique“ über das Leben von Hector Berlioz mit dem großen Mimen Jean-Louis Barrault u. a.).

Bei der Arbeit an „Blaubart“ entdeckte Christian-Jacques eine neue Form von filmischen Lösungen, indem er die Gegensätzlichkeit zwischen dem Thema und den Ausdrucksmitteln einführte. In Wirklichkeit geschah es spontan, aber später lernte Christian-Jacque damit umzugehen, und „Fanfan La Tulipe“ ist der beste Beweis dafür. Hier ist alles durchdacht, alles ist perfekt ausgearbeitet. Christian-Jacques ist so gründlich, dass er mit einem prächtigen Bühnenbild einen Vortrag über die französische Geschichte hätte halten können. Und am Ende, nachdem er diese Kulissen durch das Prisma seiner ironischen Fantasie filtrierte, lässt er seine Helden im Rhythmus eines Walzers tanzen. Das ist es, was seine Geschichte schäumen lässt wie den köstlichen Champagner. Er versucht nicht einmal, eine Parodie zu spinnen. Im Gegenteil, er bemüht sich, sehr ernst zu sein. Man kann sich die Überlegungen der drei Drehbuchautoren leicht vorstellen: „Wir machen aus dem Namen des Helden des Chancons eine historische Figur. Fanfan ist wunderbar, Fanfan ist niemand. Fanfan wird in die französische Geschichte eingehen, von uns überarbeitet und korrigiert“. Und – so geschah es auch! Und Christian-Jacque macht es wie ein Guignol-Theater, so atemberaubend! Und so wird dieser Humor zu einer rein französischen Burleske. Christian-Jacque hatte ein meisterhaftes Team: Drehbuchautoren – René Wheeler, René Fallet, Christian-Jacque, Henri Jeanson; Kameramann – Christian Matras; Komponisten – Maurice Thiriet und Georges Van Parys; die Schauspieler: Gérard Philipe – Fanfan La Tulipe; Gina Lollobrigida – Adeline La Franchise, Marcel Herrand – Louis XV, Olivier Hussenot – Tranche-Montagne, Noël Roquevert – Fier-à-Bras, Henri Rollan – Le maréchal d’Estrées (de la Comédie Française), Nerio Bernardi – La Franchise, Jean-Marc Tennberg – Monsieur Lebel, Geneviève Page – La Marquise de Pompadour, Lucien Callamand – Le Maréchal de Brandenburg, die Stimme des Historikers hat der Schauspieler der Comedie Francaise Jean Debucourt übernommen.

Im Anhang des Artikels wird die literarische Urquelle des Films zweisprachig angeführt – Französisch und in der georgischen Übersetzung von der Verfasserin des Artikels.